

ტოლემი, პრეზიდენტის ყურადღება ძლიერ მიიზიდა. „მენის“ დაღუპვა ნათესადგურ ჰავანში იმას ამტკიცებს, რომ ისპანიას არ ძალუძს უზრუნველ ჰყოს შეერთებულის შტატების და სხვა სახელმწიფოთა გემების უშიშროება, რასაც ისინი ვალდებულნი არიან მოელოდნენ. ამის მიუხედავად, ებისტოლემი ნათქვამია, რომ ისპანიაში უარ-ჰყო მე არავითარი წილი არ მიღვეს „მენის“ დაღუპვის საქმეში და განაცხადა, დიდად ვწუხვარ ნათესადგურში მომხდარ ამ უბედურების გამო. შემდეგ პრეზიდენტი ამბობს, რომ საქირაა ბოლო მოვლას კუბაში ომსაო. პრეზიდენტმა ებისტოლეს შემდეგი განმარტება დაურთო: „უკვე ებისტოლეს შედგენის შემდეგ, გუშინ მოვიდა ოფიციალური ცნობა ისპანიის დედოფლის დეკრეტის შესახებ, რომლითაც გენერალ ბლანკოს მიენდო, ზავის აღდგენის გასაადვილებლად, დროებითი ზავი დასდოს, რომლის ვადა და დაწერილობით ცნობები ჯერ არ შეგვიტყვიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამბავი თქვენს ყურადღებას მიიქცევს. თუ საშვალდება სისრულეში იქმნა მოყვანილი, ჩვენი სურვილი განხორციელებულ იქნება; თუ იგი ვერ მოხერხდა, ეს იმ მოქმედების გამართლება იქმნება, რომელიც ჩვენ განვიზრახეთ“.

სენატმა უკამათოდ ებისტოლეს გარეშე საქმეთა კომისიას გადასცა და შემდეგ დაიშალა.

სხალი ამბავი

*** * კეთილია შუამდგომლობის საკეთილად დახმავება.** მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების უკოლეების ინსპექტორმა მამა კირიონმა დაინახა რა გაქირვებული მღვთმარეობა მისდამი რწმუნებულის უკოლეებისა და მასწავლებლებისა, უპირატესი ყურადღება მიქცია უკოლეების რიგთან ნიადაგზე დაყენებას. რადგანაც მასწავლებლებს მცირე ჯამაგირები ჰქონდათ დანიშნული აქამომდე, ამისათვის ამ უკოლეებში მცირედ მიდიოდნენ ცოტათ თუ ბევრად განვითარებული მასწავლებლები. 26 თებერვალს კი შეწყნარებულ იქმნა მთავრობისაგან იგუმენი კირიონის შუამდგომლობა და ზოგიერთა უკოლეების მასწავლებლებს მოუმატეს ჯამაგირები, ასე რომ ამ უკოლის მასწავლებლები ეხლა ოცდა თექვსმეტის თუმნიდან ორმოცდაათ თუმნიამდე იღებენ. ამასთანავე, ამისივე შუამდგომლობით, შეაკეთეს რამდენიმე სასწავლებელი. სრული იმედია, რომ ამის შემდეგ მასწავლებლებად წავლენ უფრო განვითარებული პირები, სპეციალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულები და რასაკვირველია, რომ ამ პირობებში დაყენებულები უფრო ენერგიულად მოექცევიან ჩვენი ბავშვების აღზრდას გონებრივ და ზნეობრივ, როგორც თხოულობს მართლმადიდებელი სარწმუნოება. თუ ამას დაუმატებ კიდევ, რომ ეხლა უფრო ბევრად მიუტანენ

სოფლის საზოგადოებები მასწავლებლებს შევას და აღარ გააჯავრებენ უკოლის მოსამსახურებელ და ისიც, რომ ამ უკოლების მასწავლებლებს ეძლევათ, როგორც ყველა სახელმწიფო სამსახურის მოხელეს, პენსიათ ოცდა ხუთის წლის შემდეგ, ის ფული მთლად რაც ჯამაგირი აქვთ, დაბეჯითებით უნდა ვიანგარიშოთ, რომ უკოლების საქმე ძირითად კარგად წავა. აქამდე ხსენებულის უკოლების მასწავლებლები ოთხ თვეში ერთხელ იღებდნენ ჯამაგირს, ეხლა კი მ. კირიონისავე შუამდგომლობით ჯამაგირებს ყოველ თვე მიიღებენ.

*** * მასართმევა აღბომა.** ამ დღეებში ტფილისში მიიღეს მოსკოვიდან მშვენიერი აღბომა, რომელიც უნდა მიართვან ტფილისის გუბერნატორად ნამყოფს თავ. გ. დ. შერვაშიძეს მის ყოფილ თანამსახურთ. ამ აღბომის უდაზე, შუაგულ, ძალიან მოხდენილად არის გაკეთებული თავ. შერვაშიძის სურათი, მის თავზე — თავადის ღერბი, ხოლო ქვეშ — ტფილისის გუბერნიის ღერბი; აქეთ-იქით მოთავსებულია ვერცხლისა და ოქროს სურათი, რომელიც წარმოადგენს ყურის მღაზიის შერობას, და აღნიშნულია ამ მღაზიებში შენახულ ხორბლისა და სასოფლო საზოგადოებათა სათადარიგო თანხის რაოდენობა.

*** * სახადგომოდ მასალაგზავა დეპუტება.** ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი მმართველობის უფროსის განკარგულებით სახადგომოდ მიხალაკავს დეპუტების მოგროვებისა და დაგვიანების თავიდან ასაცილებლად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მიიღება ასეთი! დეპუტები 1-ლ აპრილიდან. წარდგენილ დეპუტებზე ადრესის წინ უნდა ეწეროს სიტყვა „მისალოცავი“ («поздравительная»), რომელიც ფასიან სიტყვად ჩაითვლება. აღნიშნული დეპუტები ადრესატებს მიუვით 5 აპრილს, დილის 8 საათზე.

*** * დადის მთავრის მახეად ნაკვალავის მას წერაღა.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა, თავად-აზნაურთაგან უქვეშევრდომილესის ადრესის წარდგენის გამო, მიიღო მისი იმპერატორებთი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან შემდეგი წერილი: „თავადო კოსტანტინე ივანესძე! თქვენ მიერ წარმოდგენილმა ღვაწლ-მოსილ თავად-აზნაურთა ადრესმა მე უცხოველესი სიამოვნება მომგვარა. საქართველოს მოწინავე წოდების-მიერ გამოთქმულმა გრძნობებმა დაჰბადეს ჩემში სასიხარულო რწმენა, რომ ჩემა მხურვალედ შევეარებულ კავკასიის მცხოვრებთა შორის, ტახტისა და მამულისადმი შეურყვევლ ერთგულებასთან ერთად, დაცულია კეთილი ხსოვნა ჩემს მართვა-გამგეობაზე. გარდაეცით ტფილისის თავად-აზნაურთ ჩემ გულითად მადლობასთან ერთადის რწმენაც, რომ მე უცვლელად თანაუგრძნობ მათი ქვეყნის ბედ-იღბალს.“

გმაღლობთ თქვენც მრავალ წლის განმავლობაში ჩემდამი აღმოჩენილ ერთგულებისათვის. თქვენი ჩემდამი მომართვა ხელ-ახლავ მიმტკიცებს მე ამას. დავთები თქვენი გულწრფელი კეთილ-მოსურნე“. ნამდვილზე ხელმოწერილია: „მახეა“.

*** * თავ. დასაძამის მოკვლის საქმის განჩევა,** რომელიც დანიშნული იყო 31 აპრილს სამოსამართლო პალატაში, გადადებულ იქმნა, რადგან ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო ამ საქმის მომხსენებელი წევრი პალატისა ბ. ოპტოვცევს.

*** * ცვლადება სასოფლო მეურნეობაში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარის მოთხოვნის გამო კავკასიაში სასოფლო მეურნეობის ცვლილების შესახებ, გუბერნატორთა და ოლქის უფროსთა უმრავლესობამ საქიროდ სცნო გაუქმებულ იქმნეს სასოფლო ქსენონები, რომელთა ნაცვლად უნდა დაარსდეს სასოფლო საავადმყოფოები; რიცხვი ამ საავადმყოფოთა უნდა მომატებულ იქმნეს და თვითუფლები უნდა იღვას არა ნაკლებ 10 სამუდამო ტახტისა, დაარსებულ იქმნეს აგრეთვე თვითუფლები საბოქაულოში საფერშოლო ქსენონები მცხოვრებთათვის პირველ დახმარების, აღმოსაჩენად.

*** * ახალა დაწამულება.** ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ბაგროდსკი დანიშნულია ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ.

*** * ეგვადის მოხზობა.** ტფილისში ყვავილი თითქმის მოიხშო. ამ უკანასკნელ დღეებში ყვავილი აღარავის გამოსჩენია. სხვა გადამდები სენიც საკმაოდ მიწყნარდა.

*** * გაწერაღა გადასახადებია.** 1898 წლ. გაწერილ გადასახადთა უწყებებიდან სჩანს, რომ ტრაქტორებსა, დუქნებსა და სარდაფებზე გაწერილია 30, 160 მან. გადასახადი: სასტუმროებზე 3. 510 მან. ბუფეტებზე 2. 400 მ. რესტორანებსა და ყავახანებზე 4. 300 მ. ლუდხანებზე 150 მ. გასაქირავებელ ნომრებზე 1,840 მ. საჩაიბესა და საკანდიტროებზე 1. 620 მან. საზოგადის დუქნებზე 740 მ. და დასადგომ ქარვასლებზე 615 მან. სულ ამ სავაჭრო სამრეწველო სახლებიდან ქალაქს მოუწევს 44, 335 მან. გადასახადი.

*** * ჩვენ მივიღეთ ოთხი ახალი გამოცემა ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილისა:** 1, დედა-ენა მეცამეტე გამოცემა, დაბეჭდილია 24,000 და ამით შესრულებულია 200,000, რაც აღნიშნულია ვადაზე. 2, Русское Слово ნაწილი პირველი, გამოცემა მეექვსე შეკრებილი და შეკვლილი, დაბეჭდილია 12,000; 3, Руководство для учителей и учительниц къ преподаванію по книгѣ того же автора Русское слово გამოცემა მეორე, შეკრებილი და შეკვლილი, დაბეჭდილია 1,200 და 4, Очеркъ сравнительной грамматики грузинскаго

и русскаго языковъ, ეს წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში. დაბეჭდილია 520 ც. სულ ოთხივე წიგნი დაბეჭდილია 37,020.

*** * შოა დავადოვის გამოცემა:** „Кавказская жизнь“. ჩვენ მივიღეთ მეორე წიგნი შოა დავადოვის გამოცემა „კავკასიის ცხოვრება“, რომელიც შეიცავს 80 გვერდს დიდის ზომისას, დასურათებულს სხვა და სხვა ნახატებით. წიგნი მოთავსებულია შემდეგი წერილები:

Военно-грузинская дорога, стихотворение В. Лебедева **Жинвани,** древнѣйшій городъ Грузіи, неизданная статья историко-археолога П. Иоселиана. **Сельскій картины,** съ грузинскаго, изъ Важа-Пшавела: **Село, Князь Пшатадзе, Парунъ Хечо,** переводъ А. Никитина. **Осенняя ночь,** стихотворение П. Опочинина. **Мингрельскій языкъ.** **Невинная жертва,** повѣсть Раффи, съ армянскаго. **Изъ кн. Ильи Чавчавадзе,** стихотворение В. Величко. **Сквиретское или Верійское ущелье,** археологическій и этнографическій очеркъ Ив. Ростомова. **Нашествіе чалабовъ,** сцены изъ армянской сельской жизни, Левона Мануэльяна. **Сумерки,** изъ кн. Акакія Церетели, стихотворение В. Лебедева. **Шавнабада,** легенда Ш. Разсказъ ницаго, изъ повѣсти кн. Ильи Чавчавадзе, переводъ А. Натроева. **Кавказъ,** юмористическіе экспромты поэтовъ А. Федорова, А. Будищева, В. Шуфа, В. Мазуркевича и Ф. Соллогуба. **Грузинскіе натолики,** неизданная статья бывшаго цензора Л. Исарлова. **Изъ Шіо Нучуашвили,** стихотворение Ивана-да-Марьи. **Чортова дюжина,** юмористическое стихотворение Н. Симборскаго. **Изъ Тифлисскихъ нравовъ,** съ грузинскаго, Ило. Рисунки., объявленія. წიგნი მშვენიერად არის გამოცემული და ღირს ორი მანათი.

*** * ავღანბრას სამკითხველო.** არა ერთხელ გაუგონია თქვენს უმორჩილეს მონას საჩივარი იმის შესახებ, რომ ავღანბარში იაფი სამკითხველო არ არსებობსო, თუმცა ფრიად საქირაოა.

დიდი ხანი არ არის, რაც ამ საყვედურს ბოლო მოელო და დაარსდა იაფი სამკითხველო. დღეს ავღანბარში ორი სამკითხველოა: სომხების და წერა კითხ. გამავრ. საზოგად. პირველის საქმე, მთლად კარგად თუ არა, არც ცუდად მიდის, მაგრამ სამწუხაროდ მეორეს საქმე კი სამტირალაოა: დალოცვილებს დაუარსებიათ სამკითხველო; კარგზე, როგორც ქართულთა ისე რუსულთა წაუწერიათ: წერ. კითხ. გამავრ. საზოგ. იაფი სამკითხველო. ბიბლიოთეკა ყოველ დღე 10—2 საათამდე და 5—7 ღია არის; მსურველთ შეუძლიანთ წიგნებით ისარგებლონო, მაგრამ დაარსების დღიდან არასოდეს სამკითხველო ღია არ არის... ბევრჯერ მქონდა შემთხვევა, რომ ამ ბიბლიოტეკას კარებზე მივდგომოდი, მაგრამ ყოველთვის კარ ხურული და მხვედრია. კარებთან არა ერთხელ დამხვედრია მარტო ვაზ. „ივერია“ „ცნობის ფურ.“ უბიბლიოთეკაროდ და მასთან პატარა ნაგლეჯი ქალაღი ვაზეთის დამტარებლის საყურადღებოთ, შემდეგი წარწერით: „გაზეთები აქ ახლოს მედუქნეს დაუტოვეთ“. სად ბაყალი და

სად იაფი სამკითხველო გაზეთები?!. 27 ამ თვეს კედევ მქონდა შემთხვევა, ამ იაფი, კარხურული სამკითხველოს კარებთან მივსულიყავ, მაგრამ სწორედ იქვე იყავი ისე კარხურული წიგნები, რომლებთან იღებენ ვილატები, რომლებმაც გაავაგებინეს, რომ ჩემსავით თურმე სხვებიც მოდიან და რადგანაც სამკითხველო მუდამ ჟამს კარხურულია, ამიტომ უკანვე მიდიან. სწორედ რომ ფრიად საინტერესოა გაიგოს ადამიანმა, თუ რატომ დააარსეს სამკითხველო?!.

*** * ძ. ფოთი. უბედურება შავ ზღვაზე.** მარტის 29 ფოთის ნავთსადგურზე ჩვეულებრივ არ მოადგარუსეთის საზოგადოების გემი „ალექსი“ და ფოთში მიმავალი მგზავრები გადასხა ფილუგაზე თითქმის ერთი ვერსის მანძილზე. ზღვაში დიდი ღელვა იყო და ფილუგა, რომელშიაც იჯდა 15-მდე კაცი, უეცრივ ტალღებმა გადააბრუნეს და ამოდენა ხალხი ტალღას ამოეფარა. როგორც იქნა ზოგნი გადაარჩინეს, ხოლო ხუთი კაცი დაიღუპა. ამ სურათის მნახველი გემის მგზავრები ძირითად აღელდნენ, მაგრამ გემი არხეინად წაბრძანდა ბათომისკენ.

*** * შვიშხეთი. ახალა სასოფლო მეურნეობა.** ქვიშხეთის სასოფლო საზოგადოებაში განზრახვა აქვთ აავგონ ახალი შენობა ადგილობრივი სამინისტრო სკოლისათვის, ამ საქმეში რამდენსამე დახმარებას აღმოუჩენეს საზოგადოებას მთავრობა; ხოლო თვით ადგილობრივმა საზოგადოებამ უნდა მოზიდოს შენობის მასალა და სკოლის ადგილს გარშემო წნეღის ღობე შემოავლოს.

*** * მუთაისი. სასურთაერთო კრედატის საზოგადოების კრება.** 29 მარტს აქ მოხდა სასურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა მორიგი კრება, რომელმაც საკმაო გაცხარებით ჩაიარა. მიუხედავად სარევიზოო კომისიის შენიშვნისა, რომლებსაც იცავდა კ. ნ. ჩიკვაიძე, დამტკიცებულ იქმნა როგორც 1897 წლის ანგარიში, ისე მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

დ. ა. ნახაროვის წინადადება იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქნეს გადასახდელი პროცენტები ვექსილებით გადასახადის ნაწილ-ნაწილ შეტანისათვის, კრებამ თუმცა მოიწონა, მაგრამ არ მიუღია, რადგან ეს წინადადება არ ყოფილა შეტანილი კრების განსახილველ კითხვათა სიაში. საბჭოს წევრებად ხელმეორედ ერთხმად ამორჩეულ იქმნენ დ. ვ. ხელთუფლი-შვილი და დ. ნ. ბაქრაძე, ხოლო ისხ. ელიგალაშვილის მაგივრად არჩეულ იქმნა ალ. საყვარელიძე. სარევიზოო კომისიის წევრთა არჩევნები უდროობის გამო გადაიდვა მეორე დღისათვის. („ნ. ო.“).

*** * სოხუმი. გაფუჭებულია გზა.** ბევრი დაიწერა და ითქვა სოხუმიდან ზუგდიდს მიმავალ გზის თაობაზე, მაგრამ საქმეს მაინც ვერა ეშველა-რა. გზა გაფუჭებულია და ხიდებიც სრულდებით არ ვარგა. ამ ხიდებზე ეტლით მიმავალი კაცი

დიდს განსაცდელშია ჩაყარდნილი. საკვირველი ის არის, რომ სოხუმდანი დაწყებული აქარის წყალმდე მშენებელი გზა-ტრეცილია და კიდევ აკეთებენ, ხოლო მაქარიდან დაწყებული გზა ყოვლად უფარგონია და მის შეკეთებაზე არაფერ არ იბერტყს ყურს. თურმე სოხუმდანი წებელდაში მიმავალი გზა სახაზინო ყოფილა და რადგან მაქარამდის ერთად მოდის, ამისათვის ხაზინას უნდა ვუმაღლიდეთ ამ გზის კეთებას. მაქარის წყალთან გზა იყოფა და ერთი შტო წებელდაში მიდის, ხოლო მეორე დრანდა—ზუგდიდში და ეს ჩვენი აქეთური გზა სასოფლო ყოფილა და სოფლის ბატონ-პატრონი-კი მას არავითარს ყურადღებას არ აქცევენ! ამ ჟამად სოხუმში ბრძანდება უგანათლებულესი თავადი გრუზინსკი, რომელსაც სხვათა შორის, სოხუმ-ზუგდიდის გზა-ტრეცილის მდგომარეობის გამოძიებაც აქვს, თურმე, მინდობილი იმედია, რომ აწი მაინც რამე ეშველება ჩვენს უგზობობის გამო გაჭირვებას.

Humanus

*** * * სუზსა (გურია). ჭაჭის საკვდალი.** 25 მარტს, ღამით, მესამე საათზე აქაურ ნავთის აღმოსაჩენ მომუშავე მანქანამ იმსხვერპლა ერთი მუშა, აქაურივე მცხოვრები გლეხი სვიმონ ტიკარაძე, რომელსაც დარჩა წვრილი ცოლ-შვილი, მიცვალებულის ხელის შემყურე. ერთი აქაური მუშის სიტყვით, მებურღე ოსტატი ვერ მოქცეულა ვამქრიახად, თორემ შესაძლებელი ყოფილა უბედურების აცდენა. განსვენებული იმ დროს ასრულებდა, თურმე, არა თავის საქმეს, არამედ სხვისას, რომლისთვისაც მას გამოკლივდა არ შესწევდა. ის დაეყენებინა ნაბად-წამოსხმული და ისიც ღამით მანქანით საჩერებელ ხრიკზე, რომელსაც წამ და უწუმ ხელით და ფეხით უნდა ეპოტინებოდეს. ნაბადი, თურმე, ხრიკმა ჩაიყოლა და თვითონ მუშაც შეითრია. თუმცა მაშინვე გააჩერეს მანქანა, მაგრამ უბედური მაშინვე გარდაიცვალა. ადგილობრივმა ბოქაულმა ჯგირვანი ოქმი შეადგინა და, როგორც ისმის, მუშაობის მმართველი ღირსეულად აკმაყოფილებს ობოლ ქირისუფლებს. წინა წელშიაც შეხედა აქ ერთ მუშას ცოტა ზიანი, მაგრამ უმადური არ გაუსტუმრებია იგი მმართველს; ამიტომ, იმედია, ეხლანდელ შემთხვევასაც უყურადღებოდ არ დასტოვებს ბ. მმართველი.

თასი

*** * * ახალშენი (ქიზიყი).** სოფლის შეაწროება. აქაურმა სოფლის მოხელეებმა თიბათიდგან დაწყებული ქრისტეობისთვისამდინ სამასამდე ქათამ-ინდაური დახოცეს და შესქამეს, ოცდა ხუთი ჩაფი ღვინოც ზედ დააყოლეს. ეს კიდევ არ იკმარეს და შობის წინა ღამეს წამოუარეს, კარგი დედლები სადაც-კი ეგულვებოდათ და მუსრი გაავლეს: ექვსი დედალი მოკლეს, ამოიღეს ღვინო და წავიდნენ. ერთს ქვრივ დედაკაცს უსაბუთოდ მოუკლეს დედალი, შვილმა ჰკითხა მათ, რათ მოუკალით ამა და ამ ქალს ქათამიო. კითხვით განაწყინებულ მო-

ხელეებმა ჩივიდეს ყმაწვილი ფეხის ქვეშ და წინლები დაუშინეს. სოფელმა უნდა ამოიჩინოს ყველა უბნიდან თორმეტი კაცი, რომლებმაც შეძლებისა და გვარად უნდა გააწერონ მცხოვრებთ ხვედრი ვალსახადი, მაგრამ აქაური მამასახლისი და მისი დაქალები ამას არ ყაბულობენ და მეტს აწერენ: ათი შაურადან სამ მანეთამდინ. ერთი წყარო გვაქვს, რომელიც ორ მილზე მოდიოდა, მაგრამ ეს ერთი წელიწადია, რაც ორივე მილი მოემტვრა და ამის გამო წყლის შოვნა მეტად ძნელი გამხდარა. აქაური გზები ხომ საკითხავი აღარ არის!

ერთი გლეხთაგანი

*** * * ღ. აბაშა. აბრეშუმის ჩარჩება.** ეს თითქმის ხუთი წელიწადია, რაც აქ თავის ნებაზედ დაპარპაზობენ ხალხის მყელეფავი მებრეშუმე ბერძენები და სომხები, რომელთა თავგასულ მოქმედებას ხელს უწყობენ ზოგიერთი აქაური მცხოვრებნი მათი ჯიბის დასასქელებლად. ჩვეულებისამებრ წელსაც ჩამოიტანა ბაღდადის აბრეშუმის თესლი ღვინოდ კანდილმა, და გარდასცა დასარიგებლად გიორგი ცომაიას, რომლის ეზოშიაც მას მალაზია აქვს, შემდეგის პირობებით: ა) მოსავლისათნავე მყიდველმა უნდა გადაიხადოს 7 მისხალი თესლის ფასი 3 მ. 50 კ. და ბ) მოსავალი უნდა მიყიდოს თვითონ კანდილს ერთი გირვანქა 25 კაპ. თუმცა პარკის ჩეულებრივი ფასი 27—30 კაპ. გირ. თუ ვინც იცობა შემოსხენებული პირობა დაარღვია თესლის მყიდველმა, მაშინ კანდილის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს თესლის ფასი 3 მ. 50 კ. ჯარიმაც—10 მ. სულ 13 მ. 50 კ. ამავე ვაჭბატონმა ამ სამის წლის უკანაც გაყვლითა აქაური მცხოვრებნი: გადაახდევინა მათ 3 მ. თესლის ფასად და 8 მ. ჯარიმად, — სულ 11 მან. როდესაც აბაშის მოსავალი მოსვლიათ. ახლაც მაშინდელი გემო ახსოვს ამ ვაჭბატონს. ამასთან თუ როგორია ამათი დარიგებული თესლი, ესეც ღმერთმა იცის, მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ ასეთ თავგასულ მოქმედებას ხალხი ოდნავაც არ ეწინააღმდეგება, ალბად იმიტომ რომ ამას წინად ხმა გაავცელეს, ვითომც ამ წლის დიდ ყინვებს თესლი სულ მოესპოს და მეტი საშვალეობა არსად მოიძებნება, თუ ამ კანდილის თესლი არ იყიდეს ზემოხსენებულის პირობით. ურიგო არ იქმნება, რომ ყურადღებას მიექცევდეს ვისიც ჯერ არს ამ ვარემოებას; არც რომელიმე სააბრეშუმო ამხანაგობა ნახავს ზარალს, რომ მოიკლიდეს და თავიანთი ბრწყინვალე შუქის ნაწილს აბაშას გადმოსტყარცნიდეს ჩვენი ხალხის საბედნიეროდ. იქმნება მაშინ ცოტათი მაინც მოელოს ბოლო ამ ვაჭბატონების თავგასულობას.

მცხოვრებნი გახლავთ მეტად უღარდელი და უმეცადინო ხალხი, ორიოდეს გარდა. მათ ვერ დაუარსებიათ ეკლესია თავისთვის და ეს სამი წელიწადი მეტია, მათ არც წირვა აქვთ და არც ლოცვა. ამ სოფლის მოძღვარი იძულებული გამხდარა თოვლში, წვიმასა და ტალახში იაროს სხვა სოფლის ეკლესიაზე კვირა-უქმეებში საწირველად ექვსი შვიდი ვერსის სიშორეზე. თუმცა სოფლები ყოველ მის რჩევა-დარიგებას არღანზე ქეიფს ამჯობნიდნენ. მიუხედავად ამისა, ეს პატროსანი მოძღვარი დადის დღე მუდამ სოფელში ხელის მოსაწერ სიით და სთხოვს ხალხს ხელის მოწერას, რომ მცირედ მაინც შეაკეთოს თავისი დაზიანებული; დიანს საყურადღებო და ძვირფასი ეკლესია. (ეს ეკლესია ძველთაგან ძველია, როგორც ამბობენ, მეფის სოლომონის დროინდელი და მოთავსებულია მშენებელი მალღობ ადგილზე. ცოტა დანგრეულ ვალავანში). მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ნაკლებად თანაუგრძობენ მოძღვარს და ამის გამო ჯერ მოუხერხებელი გამხდარა ეკლესიის შეკეთება. დროა, ვარცხილებმა გამოიჩინონ ყურები, მოიკლონ თითო-ორიოლა გროში და მოძღვარს კეთილი განზრახვა განახორციელებინონ.

*** * * ს. შამოქაძე (გურია).**

მადლობა შემაწარულბასათვის. ნება მომეცით თქვენის პატივცემულის ვაზეთის შემწეობით უგულთადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ იწყებეს და შემოსწირეს შემოქმედის უფასო წიგნთ საცავს თავიანთი წვლილი და ეგრეთვე მედიტან ანტონის ძე დუმბაძეს, რომლის მეტაურობითაც შეიკრიბა ეს ფული. სია შემოაწირველთა: რაჟდენ ტულუშმა, მირიან ქანიშვილმა, ალექსი ჟდენტმა, ს. გაჩეჩილაძემ, გიორგი მაქსიმეს ძე ზენაიშვილმა და ნიკო ოთხმეხურმა თითო მან. ილია მალაქელიძემ 85 კაპ. წიგნები. ლუარსაბ ქეიშვილმა თერთმეტი შაური. ირაკლი ერქომაიშვილმა, ივლიანე ნაკაშიძემ 15-მა, K-მ, ირაკლი არაბიძემ, ნიკო ზურაბოვმა და დარისპან მარაქელიძემ ათ-ათი შაური. 15-მა და მიშა ბაქრაძემ ოროლი აბაზი. ვ-მ, „დაკარგულმა სოკიაშვილმა“ და „ვიწმე უცნობმა“ ექვს-ექვსი შაური. სერგია ნებიერიძემ და ფილიმონ გაჩეჩილაძემ თითო აბაზი. სულ ფული შესდგა 12 მანეთი და 15 კაპიკი. გაბე შემოქმედის უფასო წიგნთ-საცავის სილოვანე წაქაძე

სასამართლოს მამიანი

საქმე მკვლელობის თაობაზე. 31 მარტს ტფილისის სასამართლო ხალატში გაიჩნა გორის მაზრის ახსურის ვასილ ალექსანდრის ძის სრესულის საქმე, რომელსაც პრადეკოდა ქრევის ახსურის ქალის მარამ მაჭვარაძის მოკვლა 1896 წ. ივნისში ალქის სასამართლოს-მაერ. ნაკათი მოქმემა გაიყენნ ორ ჯგუფად, ზოგი ამტკიცებდა: პრადეკოდას ჩსუბი ქონდა ვასილ მაჭვარაძისა და მას რე-

ვალდებუნი ესრლათ, მაგრამ ტყუია შემთხვევით მარამ მაჭვარაძის მოხვდა, რომელიც მაგარდა მ—ს, რომ მისთვის ტყუია ჯენდახო; სხვა მოწმები ამტკიცებდნენ, რომ ვასილ მაჭვარაძის ბრადდეკოდას ესრლათ და ტყუია მარამ მაჭვარაძის მოხვდა.

ზაღატამ დაამტკიცა ალქის სასამართლოს განჩენი; რომლითაც სრესულს მისჯილი აქვს უფელეკარ უფელეა-უბირატკისათის ჩამართმევა და არკუტკის გუბერნიაში საცხარეებლად გადასწლევა.

სხვა-და-სხვა ამბები

ქორწინება ამერაჯში

ამერიკული ქორწინება ჩვენებურს არ წაავას.—მზითვეის გატანება სირცხვილად ითვლება.—ქალები თითონ ირჩევენ საქრმოებს.—რასა ჰქვიან ფლირტი.—ახალგაზდათა ერთმანეთთან დაახლოება.—კანონი ყოველთვის ქალების მხარეზეა.—გასაოცარი მაგალითები.—მუშა ქალიშვილები ქარხნებში.—ამ გვარის ქორწინების კეთილი შედეგები.—განქორწინების საიდვილე.

ისე არაფერში იხატება ამერიკელი ქალის ხასიათი და თვით მოქმედება, როგორც საქმის ამორჩევაში. ამ მხრივ ამერიკა სრულიად წინააღმდეგს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანასთან შედარებით. ჩვენში იშვიათად თუ მოხდება ისეთი ქორწინება, ქალს მზითვეი არ მიჰყვება, ამერიკაში კი მზითვეი არც კი იცინა რასა ჰქვიან; უმდიდრესი მამაც კი, რომელიც მილიონებს ატრიალებს, ერთს კაპეიკსაც არ ატანს ქალს მზითვად. თვით ქალი იმდენად ამაყი და თავმოწონეა, რომ მზითვის თხოვნის გაგონებაზე შეძრწუნდება და ზიზღით მაშინვე უარს ეტყვის თავის მაძიებელს. მზითვეისაზოგადოდ სირცხვილად ითვლება და ქალის დამცირებასა და უფარვისობასა ნიშნავს.

ამას გარდა ამერიკული ქორწინება იმითი განირჩევა ჩვენისაგან, რომ ჩვენში ახალგაზდათა გარიგებას მათს დანიშვნას და ქორწინებას ეშობლები ან მაქანკლები ახდენენ და არიგებენ; ამერიკაში კი ამ მოვალეობას თვითვე ახალგაზდანი ასრულებენ; ქალიშვილი არამც თუ თავისის სურვილით სთხოვდება, არამედ თითონვე ირჩევს საქრმოს, თვითვე ეძებს და ჰპოულობს. ამ ჩვეულებას ქმრის ძიებისასა და არჩევისას ფლირტი ჰქვიან, რომლითაც ისე მოაქვს თავი ამერიკელს ქალიშვილს.

რა არის, მართლა, ფლირტი? იგივეა სიყვარულისთვის, რაც წინასიტყვაობა წიგნისათვის, ან დამნით ვარჯიშობა დუელში გამსვლელისათვის. მოუვიდა თუ არა კაცს ის დრო, როდესაც გულს სიყვარული სწყურია და გონება მომავალზე ფიქრს შეუდგება, ქალიშვილი აღარ იგვიანებს, გაფაციცებით იხედება ირგვლივ და ეძებს საქრმოს. რომელ საზოგადოებასაც გინდა ეკუთნოდეს ქალიშვილი, დიდს კაპიტალისტისას, თუ ქარხნებში მომუშავისას, ის ყოველგვით სკდილობს როგორმე დაუახლოვდეს ახალგაზდებს და მათს შორის გაფაციცებით ეძებს ვინ უფრო შესაფერია

მისი, ვის უფრო შეუძლია ახლებეროს გული. ამ დაახლოებას და ძებნას საქმისას ჰქვიან ფლირტი. ფლირტს ისე შესჩვევია ამერიკელი ქალიშვილი, რომ ნებისმიერ ცხოვრებაში უფროსი უფროსი ქალი თავის უფლებათა შეურაცყოფად ჩასთვლიდა, პირ და პირ უფლირტოდ გათხოვებას. ამ გვარი დაახლოება არამც თუ სასირცხვილოდ და უპატიოსნო საქციელად არ ითვლება საზოგადოებაში, არამედ საზოგადოება ისე უტკერის მას, როგორც კანონიერს საშუალებას მიზნის მისახვევად. ქალიშვილს შეუძლიან სრულიად თავისუფლად გაჰყავა გამოჰყვეს ახალგაზდა კაცს, ჰქონდეს მასთან დამოკიდებულება, მაგრამ რა წამსაც უნდა, იმ წუთშივე განშორდება, თუ ხასიათის შეუთანხმებლობა ან რამე ნაკლი დაატყა მას, ის ბეჯითად ადგენებს საზოგადოების ცხოვრებას თვალყურს, უკვირდება მახლობელ ახალგაზდათა ხასიათს და სწავლობს მათს ფასსა და ღირსებას. საარშიყო ალთაიებით, ცბიერობით და სხვა რამით მას ვერ მოატყუებთ, რადგან პატარაობიდან სასწავლებელში შეჩვეულია ვაჭების ოინბაზობას და ხრიკებს. იმან სისრულით იცის ვაჭკაცის დაფასება და ამიტომ დიდი ხელოვნებით ირჩევს შესაფერს საქრმოს და თუ აირჩია, ეს წუთიერი გატაცების ნაყოფი კი არ იქნება, არამედ დიდი ხნის აწონ დაწონისა და მოფიქრებისა. ამერიკელი ქალი ისე გაწურთვნილია და დახელოვნებული ამ ფლირტში, რომ იშვიათათ მოხდება საქმე წაავოს.

მაგრამ, თუ როგორმე მოხდა და კაცმა მოატყუა ქალი და უღალატა, მაშინ შეურაცყოფილს და გაწილებულ მხარეს იქერს არამც თუ თვით სასამართლო, საზოგადოებაც კი. აქაც კიდევ განსხვავებასა ვხედავთ ჩვენებურსა და ამერიკულ ჩვეულებათა შორის. ჩვენში ღალატის მსხვერპლად საბრალლო ქალი შეიქნება ხოლმე, სასამართლოც მის წინააღმდეგ არის და საზოგადოებას ხომ რალა თქმა უნდა, ქალს არც კი შეუძლიან დაასახელოს თავის ბავშვის მამა. ამერიკაში მთელი დანაშაული მაცდურ ახალგაზდას აწევება თავზედ, სასამართლო მაგრა სქიდებს მას ხელს. საკმარისია მარტო ერთი ფაქტი მათი დაახლოებისა, მარტო ცარიელი აღთქმა ცოლად შერთვისა, რომ დამნაშავედ სცნოს ახალგაზდა და თუ ცოლად არ შეირთავს, დიდს ჯარიმას მაინც არის გადახდევინებს. სასამართლო ყოველთვის ქალიშვილს იცვამს და ყოველთვის უწყალოდა სჯის ახალგაზდა კაცს, გინდაც არაფერი ვნება არ მოეტანოს ქალიშვილისთვის. ამერიკის ზოგიერთ შტატებში საკმარისია ქალი რამდენიმე ხნით კაცთან ერთად სცხოვრობდეს, რომ კანონიერ ცოლად იცნოს იგი სასამართლომა. ისეთი შემთხვევებიც ბევრი ყოფილა, რომ მარტო აღთქმას ცოლად შერთვისა, კანონიერად უცვინა მათ ცოლქმრობა.

ასეთს მაგალითებს მრავლად შეხვდებით. ერთი ახალგაზდა კაცი, გვარად კიტსონი დაუახლოვდა

ახალგაზრდა ქალს ანა კლარს ლუ-
დხანაში. ახალგაზრდანი მუდამ დღე
ხედებოდნენ ერთმანეთს ლუდხანა-
ში, კიტსონი იზარბებდა მას ლუდ-
ხედ და ქალიც უარს არ ეუბნე-
ბოდა. ერთს მშვენიერს დღეს, 24
აპრილს, კიტსონი დაითრო და
ანამ წაიყვანა თავისთან სახლში.
მას არ ახსოვდა თუ რა მოუვიდა
იმ დღეს, აღუთქვა რამე თუ არა,
მხოლოდ ეს ახსოვდა, რომ იმ
დღეს დაითრო და მერე ანამ წაი-
ყვანა სახლში ერთად ერთმა მოწ-
მემ, ლუდხანის პატრონმა, ესა
სთქვა სასამართლოში, რომ ლუ-
დის მირთმევის დროს ახალგაზრდა
ქალი ეუბნებოდა: „ნუ ამბობთ მა-
გას, მე ისეთი ქალი არა ვარ“,
რომელიც თქვენ ცოლად გამოგ-
ყვებით, რაზედაც პასუხად კაცს
ეთქვა: „კარგი, კარგი მე ჩემს სი-
ტყუას არ გავტყებ“ და ბოლოს ორ-
თავენი ერთად გამოვიდნენ და სა-
დაც წავიდნენ. სასამართლომ
საჩუქრად კაცს ქალისათვის
სამუდამო პენსიის ძლევა მი-
უსაჯა. ჩვენ, რასაკვირველია,
უცნაურად და შეუძლებლად გვეჩ-
ვენება ყველა ეს. ჩვენებური ამ-
ხედ ზიზღით დაიყვირებს, ვგრე
რომ იყვეს, ყოველ გარყვნილ
ქალს შეძლება მიეცემა პატიოსანს
კაცს ჩირქი მოსცხოს და ქონება
და სიმდიდრე წაართვასო. მაგრამ
ამერიკელები ყველი ამას სხვანი-
რად უტყვიან. ქალი ჩვენში დამ-
ცირებულია და უპატრონო; ამე-
რიკაში კი სულ სხვაა.

ამ რიგათვე იცვამს კანონი გათ-
ხოვილს ქალსაც. საზოგადოებაც
და ხალხიც ისეთი თავაზითა და
პატივით ექცევა, როგორც გასათ-
ხოვარს ქალს. ქუჩაში, რესტორა-
ნებში, რკინის გზაზე ისეთის პა-
ტივითა და მოწიწებით ექცევა,
რომ არავის შეეღალა და მფარვე-
ლობას არა საჭიროებს იგი. თა-
ვანიანათვე ექცევა მას სახლში
ქმარი, რადგანაც პატარაობიდან-
ვე დაჩვეულია ქალების პატივის-
ცემას და თავაზს, რაიც შემდგომი
გადააქვს თავის ცოლზე. ამასგარ-
და, ის რაც ევროპაში უკან აყე-
ნებს ოჯახის საქმეს, ამერიკაში
სრულიად არ არსებობს. ევროპა-
ში ქალი გათხოვებისთანავე იძუ-
ლებულია ქარხანაში იმუშაოს, ამე-
რიკაში კი გათხოვილმა ქალმა
ქარხნის კარებიც არ იცის, ქარხ-
ნებში მარტო ახალგაზრდა ქალები
მუშაობენ და არა გათხოვილები.
თორმეტ წლამდის ამერიკელი ქა-
ლი სახლში ატარებს დროს, მერე
კი ქარხანაში მიდის და რჩება იქ
20-25 წლამდის. აქ ქარხნებში
მუშაობა ერთის მხრით საკეთილმო
არის აქაური ქალებისთვის, ის
ხალხს იცნობს, საზოგადოებას უახ-
ლოვდება და ამასთანავე საქმრო-
საც იჩივებს. ამერიკელი ქალი მარ-
ტო გათხოვებამდის მუშაობს ქარ-
ხანაში და მერე კი უბრუნდება
ოჯახს და მის საკეთილდღეოდ
შრომობს.

ამასთანავე ცოლქმართან უღლ-
ვილება მეტად მტკიცე და დაურ-
ღვეველია. მარტო ის გარემოება,
რომ ახალგაზრდანი ერთმანეთის სიყ-
ვარულითა და ნდობით ირთავენ
და არა სხვის გარიგებით და სა-

შუალობით, უტყუარი საბუთია
ცოლ-ქმრობის სიმტკიცისა. ჩვენ-
ში სადაც ქორწინება თითქმის
მარტო კერძო სარგებლობისათ-
ვისა ჰხდება, იშვიათად შეხე-
დებით ბედნიერს ოჯახს. იმ
შემთხვევაშიც კი, როცა სიყვარუ-
ლით ირთავენ ჩვენში ერთმანეთს
ნამდვილ ბედნიერებას ვერ აღწე-
ვენ, რადგანაც მათი სიყვარული
წუთიერი და დროებით გატაცე-
ბაა. ჩვენში ქალი განცალკევებით
სცხოვრობს და არაფერი ერთობა
არა აქვს კაცებთან და მათ ცხო-
ვრებასთან; ის სულ სხვა ნაირად
სჯის, სხვა ნაირ ოცნებობს; კაც-
თან დაახლოვება და მისი აღერსი
თავ გზას დაუბნევინ ხოლმე საბ-
რალო ქალს, რის გამოც ხშირად
ხდება მსხვერპლი მაცდურობისა.
ქალი თავ-დავიწყებით მხოლოდ
მაშინ გამოდის, როცა საქმეს წა-
აგებს და ველარაფერი ეშველება
მას. ყველა ეს უცნობია ამერიკელი
ქალისათვის. ამერიკელი ქალი და-
რწმუნებულია, რომ მის მათხო-
ვარი ნამდვილი სურვილითა და
სიყვარულით ირთავს, რადგანაც
სხვა რამ სარგებლობას აქ აღვლი
არა აქვს ქალს, გარდა თავის
თავისა არაფერი მიაქვს საქმოს
ოჯახში.

ცოლ-ქმართ გაყრა, — განქორწი-
ნებაც ძალიან ადვილია ამერიკა-
ში. კანონი და სამართალი იცვამს
რა ქალს ახალგაზრდაში, გათხო-
ვების დროსაც არ აკლებს თავის
მზრუნველობას და ყოველ შემთ-
ხვევაში მზათ არის დაიცვას ქმრის
შეურაცხობისაგან და მტარვალუ-
რად მოპყრობისაგან. თუ ქმარი
უზნეო ლოთობასა და გარყვნი-
ლობაში ატარებს დროს, ქალს
სრული ნება აქვს გაეყაროს მას
კანონით და განშორდეს მოშა-
მულ სიციცხლეს. მაგრამ განქო-
რწინების შემდეგაც არ აგდებს
უზრუნველად ქალს კანონი, იგი
აიძულებს გაყრილს ქმარს, ყოველ
წლივ პენსია აძლიოს თავის ნა-
ცოლარს, გაურჩეველად იმისა,
ეჭირება თუ არა იმას ასეთი და-
ხმარება. ერთხელ ერთმა განქო-
რწინებულმა კაცმა სთხოვა სასამა-
რთლოს, რომ გაენთავისუფლები-
ნათ ის პენსიის ძლევისაგან, რად-
გან მისი ნაცოლარი მდიდარს ვა-
ქარს მისთხოვდაო. მაგრამ სასამა-
რთლომ არ შეიწყნარა მისი თხო-
ვნა და პასუხად მოახსენა, რომ
ამ გვარი გადასახადი სასჯელად
არის დაწესებული და სიკვდილის
მეტს არავის შეუძლიან თქვენი

РУКОВОДСТВО для учителей и учительниц къ преподава-
нiю по книгѣ того-же автора Русское Слово, გამოცემა
მეორედ შეესებული და გადასწორებული. ფასი ყდიანი წიგნისა
სამი აბაზი, უყუოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყი-
დის ათს ან მეტს, წიგნი დაეთმობა 48 კაპ.

**Очеркъ сравнительной Грамматики Грузинскаго и Русска-
го языковъ**, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს ან მეტს იყიდის ერთად,
წიგნი დაეთმობა 16 კაპ. ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩარ-
თულია პირველის ბოლოში და ამიტომ პირველის მყიდველმა
არ უნდა იყიდოს. ეს წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყვე-
ლა დაბად და საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათ-
ვის კავკასიაში.

საწყობი ორივე წიგნისა არის თბილისში წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელ საზოგადოების მალაზიაში. (6—1)

განთავისუფლებო. ბევრია ისეთი
მაგალითებიც, რომ ქალი ორისა,
სამისა და ზოგჯერ მეტის ნაქმრო-
ლისაგანაც იღებდეს ამ გვარ პენ-
სიას. თუ ამ გვარად დაჯარიმებუ-
ლია ქმარი დროზედ არ შეიტანა
პენსია, საჭიროა ქალმა გაახსენოს
სასამართლოს, რომ იგი მაშინვე
დააპატიმრონ და ერთი-ორად მე-
ტი გადაახდევინონ. რასაკვირვე-
ლია, თუ ერთხელ იწვინა კაცმა
ეს, მეორედ და მესამედ ვეღარ
გაბედავს.

თქვენ იტყვი, რომ ასეთი თავ-
ისუფლება ოჯახის სიწმინდისათ-
ვის მავნებელია და მაზარალებე-
ლია. სრულიადაც არა. ამერიკა-
ში ამ საკეთილო კანონს სარგე-
ბლობის მეტი არაფერი მოაქვს,
ხალხი ამ თავისუფლებას თავისდა
სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ
იყენებს.

აი რამდენად თავისუფლება აქვს
მინიჭებული ამერიკელ ქალს და
რა დიდი უპირატესობა ეძლევა
ყველგან. რასაკვირველია, ასეთი
თავისუფლება ჩვენებურ ქალს სი-
ზმარზიათ კი არ მოუფა.

შ. ფრონელი

განცხადება

ქალაქის გამგეობა

საქიროდ სთელი ამ თავათვე გამო-
უცხადოს ვაჭრებსა და სავაჭრო-
რეზებისა და სხვა საპასეკო პურის
გამოსაცხობათ შაქრის ფხვნილი
ყვითლად შედებილი ტყვია ნარე-
ვის წამლით ესრედ წოდებული
„კრონისაჲ, ან „კრანგელით“,
რადგან ამ გვარ ნამცხვარებსა გ-
უადგას ნება აწაგას მაიკემით.

(3-1)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში
იყიდება ფას-დაკლებით გრ. ტა-
ტიშვილის შემდეგი სურათებიანი
საყმაწვილო გამოცემანი:

- 1, **გაღვანი** 10 კ.
 - 2, **ხუმარა სპილოები** 10 კ.
 - 3, **კეთილი ძაღლი** . 10 კ.
- ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკ-
ლებ 50 ცალითა, წიგნი დაეთმო-
ბა 8 კ.
- აქვე იყიდება ფოსტის ქაღალ-
დი ერეკლე მეფისა და ი. ქაქე-
ვაძის სურათით, ექვსი თაბახი—10 კ.
- (10—4)

საყურადღებო განცხადება

რადგან პასკებს (ბაბკებს) ცხობით ბევრი აცხობს, თუმცა-კი ჯერ
ბევრს არა აქვს შესწავლილი და შეგნებული წესები, ხედავს
მოხერხება კარგის პასკების გამოცხობისა, ამიტომ მსუიყველი
ხშირად სტყუვდება.

ამასათვის მატყვს ზატავა გაუწეო საზოგადოებას, რომ ჩემს

საკანდიტეროში და საცხობში,

რომელიც იმყოფება ვორონცოვის ძეგლთან,
სააღმომოდ მზადდება დიდ-ძალი პასკები (ბაბკები), კულოჩები
და სხვ.

ღირსებები ჩვენის პასკებისა, რომლისათვისაც საუკეთესო მასა-
ლის შემზადება და ხელოვნება მუდამ ჩვენს საზრუნველს შეა-
დგენს, ყველასათვის ადვილი საცნობია.

(2—2) პატივისცემით ან. ავ. აღიანსოვა

ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКИЙ И НАУЧНЫЙ ЖУР-
НАЛЬ

„РУССКОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(Годъ девятый).

Книга II (Февраль).

СО Д Е Р Ж А Н І Е:

I. „Словесная кроха хлѣба“. Повѣсть. Кохановской (Н. С. Со-
ханской). Съ предисловіемъ С. И. Пономарева—II. „Годы службы
Н. П. Гилярова-Платонова въ Московскомъ Цензурномъ Комитетѣ. 1859 годъ“.
Гл. VI. Князя Н. В. Шаховскаго.—III. „Невинная игра“. Повѣсть. Гл.
VIII—XIII. А. В. Стернъ.—IV. „Путешествіе Антиохійскаго патріарха Ма-
карія въ Россію въ половинѣ XVII в., описанное его сыномъ, архидіакономъ
Павломъ Алеппскимъ. Кн. IX. Гл. V—XI. (Переводъ съ арабской рукописи.
Проф. Г. А. Муркоса).—V. „Въ этотъ храмъ закрыта дверь“... Стихотво-
реніе К. Н. Львова.—VI. „Инь Колларъ, пѣвецъ „славянской взаимности“.
Проф. Г. Д. Флоринскаго VII. „Пидъ разными флагами“. Романъ. Гл.
V—VI. Э. Ромера.—VIII. „Классицизмъ, какъ необходимая основа гим-
назическаго образованія“. Часть вторая. Историческій очеркъ развитія средняго
образованія въ Германіи. Гл. III—IV. Графа П. А. Капниста.—IX. „Вду
я слѣдомъ туманнымъ, равнинною снѣжною“... Стихотвореніе. Н. О. Плахо-
во.—X. „Путешествія по Россіи великаго Царя-Миротворца Александра III
Александровича“ Гл. II Второе путешествіе по Россіи Государя Наслѣдника
Александра Александровича (іюль—августъ 1865 г.). А. А. Шевалева.—
XI. „Изъ далекаго прошлаго“. VI. Изъ тревожной эпохи. Гл. I. На эгиптѣ.
П. П. Суворова.—XII. „Сотрудники князя А. Чаргорійскаго“. Ю. О.
Кривковскаго.—XIII. „Рѣчь снѣгъ, темна дорога“... Стихотвореніе Ф. О. О.
Сологуба.—XIV. „Блины“ Правдивая исторія. В. С.—XV. „Вдаимірска
женская община“. Свящ. І. И. Соловьева.—XVI. „Зимой“. Стихотво-
реніе. Г. Арищенко.—XVII. „Неравный бракъ“. Повѣсть. Ф. Эвартъ. (Пере-
водъ съ нѣмецкаго О. И. Прибытковой).—XVIII. „Матеріалы для характе-
ристики русскихъ писателей, художниковъ и общественныхъ дѣятелей“. Док-
ладная записка въ Московскій Цензурный Комитетъ (26 іюня 1859 г.). Пен-
сора Никиты Гилярова-Платонова.—XIX. „Высокопреосвященный Сергій,
митрополитъ Московскій и Коломенскій (Некрологъ). І. Ф.—XX. „Критика“:
Жизнь и поэзія Н. М. Языкова. В. Смирнова.—XXI. „Библиографія“: 1)
Церковное здѣчество. 2) Исторія 3) Общественная жизнь. 4) Народное хозяй-
ство. 5) Справочники. XXII. „Внутреннее обозрѣніе“: Выходка Орловскаго
губернскаго земства противъ религіознонравственнаго просвѣщенія народа.—
Налоги на нужды государственныя и на нужды мѣстныя.—Невѣроятная тя-
жело земскаго обложенія.—Невозможность допускать ея увеличеніе.—Фикція
самообложенія населенія и ограниченіе обложенія законодательнымъ путемъ.
А. И. Елишева.—XXIII. „Иностранное обозрѣніе“. Не-дипломатъ.—XXIV.
„Рѣчь славянскимъ гостямъ“. А. Н. Штигица.—XXV. Книги, поступившія
въ редакцію.—XXVI. Объявленія.—XXVII. Приложеніе: „Крестовосны“.
Историческій романъ. Генрика Сенкевича. (Переводъ съ польскаго
А. І. Чичаговой).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА (въ предѣлахъ Имперіи) съ пересылкой и достав-
кой: на годъ—15 руб., на полгода—7 руб. 50 коп., на 3 мѣсяца—3 р. 75 к.,
на 2 мѣсяца—2 р. 50 к., на 1 мѣсяцъ 1 р. 25 к.

Для лицъ духовнаго званія, для г.г. преподавателей высшихъ, среднихъ
и низшихъ учебныхъ заведеній, для лицъ военнаго сословія и для учащихся
въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ подписная цѣна 1 годъ—11 руб., 6 мѣс.—
6 руб., 3 мѣс.—3 руб., 2 мѣсяца—2 рубля, 1 мѣс.—1 р. Правительственныя и
общественныя учрежденія всѣхъ вѣдомствъ, полковыя бібліотеки, военныя соб-
ранія, а равно и лица, состоящія въ онѣхъ на службѣ, могутъ получать жур-
наль въ кредитъ, заявивъ о семъ конторѣ журнала черезъ свои канцеляріи.
Съ пересылкой за границу 18 рублей.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: Въ конторѣ журнала и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.
ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ: Въ отдѣл. конт. журнала—при книжн. магаз.
Н. Фену и К°, Невскій, домъ Армянск. церк., № 40, и въ бібліот. Семенни-
кова, Василевскій Остр., 6 линія, д. № 25 Здѣсь же производится продажа
отдѣльна. №№ журналовъ.

Подписка принимается и въ другихъ городахъ и во всѣхъ лучшихъ книж-
ныхъ магазинахъ. Подписку съ разсрочкой платежа просятъ адресовать исклю-
чительно въ контору редакціи.

Книги журнала за всѣ 7 лѣтъ съ его основанія (1890—1896 г.г.), про-
даются въ конторѣ редакціи по 5 руб. за годъ. За пересылку доплачивается
на мѣстѣ по разсчету. Выписывающимъ всѣ семь лѣтъ—пересылка на счетъ
редакціи.

Письма телеграммы, рукописи и посылки адресуются текъ: Москва, ре-
дакція Русскаго Обозрѣнія. (Тверской бульваръ, домъ Яголковскаго)

Редакторъ-издатель АНАТОЛІЙ АЛЕКСАНДРОВЪ. (3—1).